ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7987040

ნომერი: AR11149491

თარიღი : 25.06.2026

გაცემის თარიღი : 02.07.2026

გაცნობის თარიღი : 07.07.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან დევდარიანის VI შესახვევი, N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ბიბილეიშვილი პ/ნ 61001057323
- თბილისი, დიღმის მასივი, გიორგი ტერევერკოს პირველი შესახვევი #44 ბინა #46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურთების და აეროფოტოგადაღებით დგინდება, რომ მზის პანელები და კონტეინერი (დავატაუდოდ ელექტროსადგურის გენერატორის მოწყობილობა) მოწყობილია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იმისთვის, რომ განხორციელებული სამუშაოები მოექცეს სამართლებრივ ჩარჩოში, წარმოსადგენი გექნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამართალდარღვევის აქტი და ამ აქტის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის ქვითარი ;

ასევე საჭიროა განიმარტოს რას წარმოადგენს კონტეინერი(მიეთითოს მისი დანიშნულება) და ნომენკლატურაც დაემატოს შესაბამისად ესკიზებზე დამატებით მიეთითოს კ-3-ის ფართობი.

ვინაიდან საპროექტო ნაკვეთი ექცევა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოსავლელი გზა) და ნატახტარი-ჟინვალის შემოსავლელი საავტომობილო გზის განვითარების ბუფერში. ამ ეტაპზე საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (წერილის ნომ.:60-012618183), შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.